# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 25

01 ნოემბერი 2015 წელი

ერთი მხრივ სსიპ ს. ღორჯომის საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის რეზო გორგაძის სახით და მეორე მხრივ ი/მ „ზურიკო ართმელაძე" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ზურიკო ართმელაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია დახერხილი შეშის მოწოდება (CPV03400000).

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1620ლ (ათასექვსასოცლარს) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

## 3. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. დახერხილი შეშის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 31დეკემბრამდე პერიოდში.

3.2. შეშის მიწოდების ადგილია ხულო, სოფელი მერხეთი და ჭახაური.მერხეთის დახერხილი შეშის ღირებულება შეადგენს 650ლარს.ჭახაურის დახერხილი შეშის ღირებულებ შეადგენს 970ლარს.სულ ჭახაურ მერხეთის დახერხილი შეშის ღირებულება შეადგენს 1620ლარს(ათასექვსასოცი)ლარს

## 4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან/და შესაბამისი ანგარიშსწორების დოკუმენტის წარმოდგენიდან 31 დღის ვადაში.

4.4. ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი საქონლის გარკვეული ნაწილის აუთვისებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია დარჩენილ თანხაზე.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.

## 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 8. სხვა პირობები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

8.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

8.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად მხარეთათვის.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

## 10. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ ს. ღორჯომის საჯარო სკოლა
მის: სოფ. ღორჯომი
ს/კ 248053733
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
მფო LBERTGE22
ა/ა GE90LB0121198207321000

დირექტორი. /რ.გორგაძე/

მიმწოდებელი:
ი/მ ზურიკო ართმელაძე
მის: დაბა ხულო
ს/კ 61009028158
ს.ს. საქართველოს ბანკი
მფო BAGAGE22
ა/ა GE81BG0000000913592300

ი/მ: /ზურიკო ართმელაძე/